

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

ა(ა)იპ-საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-  
კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „საზოგადოება ცოდნა“

წარდგენილია აკადემიური საბჭოს მიერ:

2013 წლის 19 ნოემბერი ოქმი №8

ვამტკიცებ რექტორი:

ქართული ფილოლოგიის პროგრამა

## სარჩევი

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების თარიღი  
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება  
პროგრამის ხელმძღვანელი  
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური  
სწავლების ენა  
მისანიჭებელი კვალიფიკაცია  
პროგრამის მოცულობა  
საგანმანათლებლო პროგრამის ორგანიზების თავისებურებები  
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა  
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი  
სწავლის შედეგი  
დასაქმების სფერო  
სასწავლო გეგმა  
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა  
სწავლა/სწავლების მეთოდოლოგია  
საგანმანათლებლო პროგრამაში უცხო ენის კომპონენტის დაძლევის პირობები:  
საბაკალავრო ნაშრომის გაფორმებისა და შეფასების წესი  
საწარმოო პრაქტიკის შეფასების წესი  
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური  
რესურსები  
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-  
ტექნიკური ბაზა

- საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ქართული ფილოლოგია;
- პროგრამის ხელმძღვანელი - ასოცირებული პროფესორი ნინო წერეთელი;
- უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: ბაკალავრიატი;
- სწავლების ენა- ქართული;
- მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ქართულ ფილოლოგიაში;
- პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი.

#### **საბაკალავრო პროგრამის ორგანიზების თავისებურებები:**

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება 4 აკადემიური წლით, რომელიც მოიცავს 8 სასწავლო სემესტრს. საბაკალავრო პროგრამის მისაღწევი შედეგების დასაუფლებლად აუცილებელია 240 ECTS კრედიტის დაგროვება. 1 სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 21 კვირას, (ვადები ზუსტდება რექტორის ბრძანებით), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მოთხოვნების დაცვით 21 სასწავლო კვირიდან სააუდიტორიო მუშაობისათვის განკუთვნილია 15 კვირა, ხოლო 6 კვირა არის სასესიო (შუალედური გამოცდებისათვის 2 კვირა; 2 კვირა საბოლოო გამოცდებისათვის; 2 კვირა განმეორებითი გამოცდებისათვის; შენიშვნა: შუალედურ/საბოლოო გამოცდასა და განმეორებით გამოცდას შორის პერიოდი არის 10 დღე. ერთი კრედიტი უტოლდება 25 ასტრონომიულ საათს, რომელიც მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ისე სტუდენტის დამოუკიდებელ მუშაობას. კრედიტების ყოველწლიური რაოდენობა საშუალოდ არის 60 ECTS კრედიტი (დეტალური განაწილება იხ. სასწავლო გეგმაში). სტუდენტმა სასწავლო წლის მანძილზე შესაძლებელია დააგროვოს არა უმეტეს 75 კრედიტის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად

- **სპეციალობის სასწავლო კურსების კომპონენტი** (110 კრედიტი) ორიენტირებულია ფილოლოგიის დარგში, ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული თეორიებისა და პრინციპების დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული

მეთოდის შესახებ ფართო ცოდნის დაგროვებაზე, სფეროს პრაქტიკული და თეორიული ასპექტების საფუძვლიან შესწავლაზე, ენის ისტორიის, მისი ვარიანტების, გრამატიკული კატეგორიებისა და სტრუქტურების თავისებურებების, ქართული ლიტერატურის კომპლექსური საკითხების გაცნობიერების ხელშეწყობაზე, პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში დარგის ფარგლებში არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაწყვეტისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, საკუთარი ცოდნის მუდმივად განახლების უნარის სტიმულირებაზე, პროფესიული მოღვაწეობისათვის აუცილებელი ღირებულებების ფორმირებაზე.

აქედან საბაკალავრო ნაშრომი (15 კრედიტი) ორიენტირებულია თეორიული ხასიათის ნაშრომის შესრულების და პრეზენტაციის უნარების განვითარებაზე: საკვლევი თემის შერჩევა და სამუშაო გეგმის შედგენა, ინფორმაციის მოძიება და სათანადოდ დამუშავება, დასკვნების ჩამოყალიბება და საჯაროდ დაცვა. საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო და არჩევითი კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა საბაკალავრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, მოხდეს მათი გაღრმავება კონკრეტული საკვლევი თემის ფარგლებში.

პრაქტიკა - 5 კრედიტი ორიენტირებულია სწავლის პროცესში მოპოვებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაზე, გამომუშავებული უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებაზე. აღნიშნული კომპონენტი შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს აკადემიურ გარემოში მოპოვებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების პრაქტიკაში გამოყენების გამოცდილება.

- **საფაკულტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების კომპონენტი** (60 კრედიტი) ორიენტირებულია ზოგადი უნარების გამომუშავებაზე, სტუდენტის თვალსაწიერის გაფართოებაზე. უცხო ენის და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესაბამისი უნარების გამომუშავებაზე.
- **საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში თარგმანმცოდნეობის საგანთა ბლოკი წარმოდგენილი მოდულებად** (60 კრედიტი), რაც სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას ძირითად სპეციალობასთან ერთად მიიღოს ის თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომლებიც დაეხმარება დასაქმებაში.
- **თავისუფალი სასწავლო კურსების კომპონენტი** (სავალდებულო 10 კრ.) სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, მისი ინტერესების შესაბამისად აირჩიოს სასურველი სასწავლო კურსი.

**ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:**

**60 ECTS** კრედიტი ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.

**110 ECTS** კრედიტი განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის

**60 ECTS** კრედიტი ეთმობა საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მოდულებად წარმოდგენილ თარგმანმცოდნეობის საგანთა ბლოკს. შეთავაზებული იქნება მოდული A (ინგლისური ენის ბაზაზე), მოდული B (რუსული ენის ბაზაზე). მოდულის არჩევა სტუდენტს შეუძლია მეექვსე სემესტრიდან.

**10 ECTS** კრედიტი განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კომპონენტისათვის.

**სწავლების ენა:** ქართული.

### **პროგრამის აქტუალობა**

საქართველო, როგორც ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა, ენობრივად და კულტურულად მრავალფეროვან სივრცეში შევიდა. ამ სივრცეში ინტეგრირება მეტად მნიშვნელოვანია, რისთვისაც აუცილებელია საკუთარი პიროვნული შესაძლებლობების სრულფასოვანი რეალიზება, რაც შეუძლებელია, ერთი მხრივ, ეროვნული კულტურის უმნიშვნელოვანესი ფენომენის, ქართული ენისა და ლიტერატურის, სიღრმისეული ცოდნის გარეშე, და, მეორე მხრივ, უცხოური ენების შესწავლის გარეშე. ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში თარგმანმცოდნეობის საგანთა ბლოკის მოდულებად (ორი ენის ბაზაზე) შეთავაზდება სტუდენტებისათვის სწორედ არსებული გამოწვევებით არის განპირობებული.

### **პროგრამის მიზანი**

- ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს მისცეს ფილოლოგიურ მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების ღრმა ცოდნა; შეასწავლოს სტუდენტებს ქართული ენისა და

ლიტერატურის პრაქტიკული და თეორიული საკითხები, ლიტერატურათმცოდნეობითი და ენათმეცნიერული კვლევის თავისებურებები; განუვითაროს ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზისა და კრიტიკული შეფასების, მათი ისტორიულ და კულტურულ ჭრილში განხილვის, კომენტარებისა და ინტერპრეტირების უნარი; შეასწავლოს ქართული ენის სტრუქტურა და ისტორია; გამოუმუშაოს სტუდენტს პრაქტიკული უნარები ენათმეცნიერების და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროებში და შეუქმნას მათ შემდგომი პროფესიული განვითარების მყარი საფუძვლები; ხელი შეუწყოს სამოქალაქო ღირებულებების დამკვიდრებას და მათი დაცვით პროფესიული საქმიანობის წარმართვას, კულტურული და მსოფლმხედველობრივი მრავალფეროვნების გააზრებასა და პატივისცემას, ქართული ლიტერატურის და კულტურის სიღრმისეულ გააზრებას ევროპული ცივილიზაციის კონტექსტში;

- საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულმა თარგმანმცოდნეობის საგანთა ბლოკმა სტუდენტს გაუფართოოს დასაქმების სფერო;
- ბაკალავრს მისცეს ქართული ენისა და ლიტერატურის შესახებ ღრმა ცოდნა, რათა მან პედაგოგიური მიმართულებით დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში (მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამის გავლის შემთხვევაში) შეძლოს დასაქმება ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად სკოლაში; ხელი შეუწყოს მის პიროვნულ განვითარებას, ცვალებად გარემოში კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმებას და სწავლის გაგრძელებას.

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს მხოლოდ სრული საშუალო განათლების მქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ს.ს.ი.პ. გამოცდების ეროვნულ ცენტრში. ამასთანავე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური აქტით მოიპოვა ჩარიცხვის უფლება ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, მობილობით განსაზღვრული წესით.

## **პროგრამის შესაბამისობა მისიასთან**

სასწავლებლის მისიაში დასახული მიზნების თანმიმდევრულად განხორციელებისათვის შემუშავებულია ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტისათვის კვალიფიკაციის შესაბამისი ცოდნის და უნარების შეძენის, პროფესიული განვითარებისა და სწავლის გაგრძელების, პროფესიული ღირებულებების დასამკვიდრებლად მოტივაციის ჩამოყალიბებაზე, რათა პროგრამის კურსდამთავრებულმა შეძლოს ქართული ფილოლოგიის კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებული პრინციპებისა და თეორიების კრიტიკულად გააზრება, სწორი შეფასებების გაკეთება და პრიორიტეტების ადეკვატურად განსაზღვრა. თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების გამოყენება პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები:**

საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს თეორიული ცოდნა, გამოიმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

### **ცოდნა და გაცნობიერება**

ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თეორიული და პრაქტიკული საწავლო კურსების მასალის ათვისების საფუძველზე ფილოლოგიის ბაკალავრს გააჩნია ზოგადად ფილოლოგიისა და კერძოდ, ქართული ფილოლოგიის სფეროს ფართო ცოდნა, რაც გამოიხატება ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის კომპლექსური საკითხების გაცნობიერებაში, სასპეციალიზაციო დარგობრივი სფეროს ფარგლებში არსებული მთავარი პრინციპების, თეორიების და კონცეფციების კრიტიკულ გააზრებაში;

ბაკალავრი ფლობს: სათანადო ტერმინოლოგიას და დარგობრივ სფეროში მუშაობის მეთოდებს; იცნობს ენათა მეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით ცნებით აპარატს, დეფინიციებს, ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სემანტიკის ამოსავალ დებულებებს; ენათმეცნიერულ და ლიტერატურათმცოდნეობით ძირითად კვლევის მეთოდებს; ზოგად თეორიულ ცოდნას ქართული ენის ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ფონდის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესახებ, ლიტერატურული ტექსტის ფუნქციონალური თავისებურებებისა და მისი ზოგადი მახასიათებლების შესახებ;

ბაკალავრს გააჩნია ქართული ენის ისტორიული განვითარების საკითხების ცოდნა;

ბაკალავრს აქვს საფუძვლიანი ცოდნა ქართული გრამატიკის სისტემის, მისი კატეგორიებისა და ფუნდამენტური თეორიების შესახებ;

ბაკალავრს შეუძლია მონაცემთა ბაზითა და ლექსიკონებით პროფესიული მუშაობა; ბაკალავრს შეუძლია გააცნობიეროს თარგმანის თეორიისა და პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის საკითხები.

კურსდამთავრებულს აქვს ცოდნა როგორც ინგლისური (B2 დონე), ასევე რუსული ენისა (B1 დონე); რაც მას საშუალებას აძლევს გადაჭრას მთარგმნელობით საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

### **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

ბაკალავრს აქვს ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი, შეუძლია ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება და სწორი დასკვნების გაკეთება. მას შეუძლია სხვადასხვა პრობლემის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება/არგუმენტირება, ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა დანიშნულების ტექსტების შექმნა ქართულ ენაზე;

სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად;

ლიტერატურულ ტექსტებზე დაკვირვება, მათი აღწერა და ინტერპრეტაცია;

შეუძლია ქართული ლიტერატურისა და ზეპირსიტყვიერების ერთ მთლიან კულტურულ კონტექსტში გააზრება.

ბაკალავრს შეუძლია მიღებული ფილოლოგიური კომპეტენციის ფარგლებში მიღებული ცოდნა მოარგოს პრაქტიკულ კონტექსტს; შეუძლია წარმატებით გამოიყენოს თავისი ცოდნა და უნარები, რათა სწორი მეთოდოლოგიური პოზიციებიდან შეისწავლოს თეორიული საკითხები და გადაჭრას პრაქტიკული ამოცანები;

სტუდენტს შეუძლია განსხვავებული სტილის ტექსტების თარგმნაზე პრაქტიკული მუშაობა;

პრაქტიკული მთარგმნელობითი მოღვაწეობის დროს ინგლისური და რუსული ენის პრაქტიკული გამოყენება (ინგლისური B2 და რუსული B1) უცხო ენის დონისათვის შესაფერისი უნარ-ჩვევების ფარგლებში;

ბაკალავრს შეუძლია თავისი კომპეტენციის ფარგლებში თარგმანის შესრულება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით.

### **დასკვნის უნარი**

კურსდამთავრებულს აქვს:

ფილოლოგიური სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების მოპოვებისა და მათ საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;



ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენებით ახალი მონაცემების ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნის უნარი;  
ქართული ფილოლოგიის სფეროში არსებული საშუალო სირთულის პრობლემების იდენტიფიკაციის და თანამედროვე მეთოდების გამოყენებით მათი გადაჭრის გზების მოძიების უნარი;

შეუძლია ქართული ფილოლოგიის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი; აქვს დასკვნების ჩამოყალიბების და არგუმენტირებული დასკვნის უნარი;  
თარგმანის თეორიისა და ისტორიის საკითხების შეფასების და დასკვნის უნარი;  
სხვადასხვა ტიპის თარგმანის შეფასების და შესაბამისი დასკვნის გაკეთების უნარი;  
პრაქტიკულ თარგმანთან დაკავშირებული პრობლემის გაანალიზების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადაჭრის და დასკვნის გაკეთების უნარი.

### **კომუნიკაციის უნარი:**

სტუდენტს შეუძლია:

იდეების, არსებული პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება, ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის მიწოდება ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე (უცხო ენების დონის ფლობის შესაბამისად), თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; ფილოლოგიის სფეროში წერილობითი ანგარიშის, საჯარო გამოსვლის ტექსტის, ნაშრომის მომზადება, აქტიური მონაწილეობა პროფესიულ დონეზე ჯგუფურ დისკუსიებში, დებატებში.

შეუძლია რეფერატული სახით მომზადებული ნაშრომის პრეზენტაცია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით და დისკუსიაში მონაწილეობა შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან;

შეუძლია კომპლექსური საკითხის/შეკითხვის ჩამოყალიბება/ფორმულირება, როგორც წერილობით, ასევე ზეპირად (პრეზენტაცია/წარდგენა);

ბაკალავრს აქვს ზეპირი და წერიტი პრეზენტაციის კულტურა; შეუძლია მოამზადოს ანგარიში როგორც თარგმანმცოდნეობის გარკვეული თეორიული, ასევე პრაქტიკული მთარგმნელობითი პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე.

### **სწავლის უნარი**

კურსდამთავრებულს აქვს:

დამოუკიდებლად ან მინიმალური დახმარებით, სპეციალური, ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით ცოდნის მიღების უნარი;

ლექტორის ხელმძღვანელობით კვლევითი სამუშაოს შესრულების უნარი;

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვის და ორგანიზების უნარი;

საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასების, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენის უნარი;

საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში მიღებული ცოდნის და უნარის პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი;  
სპეციალურ ლიტერატურაზე მუშაობის უნარი;  
სწავლის უმაღლესი განათლების შემდგომ (მაგისტრატურა) საფეხურზე გაგრძელების უნარი;  
სწავლის შედეგების გააზრების უნარი;  
კურდამთავრებულს შეუძლია პრაქტიკული ენისა და ლიტერატურის სფეროში საკუთარი სწავლის პროცესის წარმართვა თეორიული წყაროებისა თუ ინფორმაციული რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით. მას შეუძლია პრაქტიკული მთარგმნელობითი საქმიანობის წარმართვა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

### **ღირებულებები**

ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, ზრუნავს ქართული ენის სიწმინდის დაცვის, ქართული ლიტერატურის შესწავლისა და პოპულარიზაციისთვის. კურდამთავრებულს გააზრებული აქვს აკადემიური და ეთიკური ნორმები. ადეკვატურად აღიქვამს კულტურულ მრავალფეროვნებას და კულტურათაშორის განსხვავებებს. პატივს ცემს განსხვავებულ კულტურებს და კონფესიებს;

ბაკალავრს გაცნობიერებული აქვს მთარგმნელის როგორც პროფესიული, ასევე ეთიკური და მორალური პასუხისმგებლობა;

თარგმანის, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ფენომენის, პრაქტიკული და თეორიული ასპექტების გააზრების საფუძველზე განვითარებული აქვს განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; არის ტოლერანტული, ისწრაფვის, დაამკვიდროს პროგრესული ღირებულებები.

### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის, სემინარის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ანალიზი და სინთეზი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია, დემონსტრირების მეთოდი და სხვ.). სწავლების პროცესში გამოყენებულია სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები.

საწარმოო პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტს. იგი ორიენტირებულია სტუდენტის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის და შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს პრაქტიკულად გამოიყენოს სასწავლო გარემოში შეძენილი კომპეტენციები (ცოდნა და უნარები).

პრაქტიკა მნიშვნელოვანია სამივე დაინტერესებული მხარისათვის: სტუდენტის, საგანმანათლებლო დაწესებულების და დამსაქმებლისთვის.

საწარმოო პრაქტიკა ხორციელდება კოლეჯის ფარგლებს გარეთ. საწარმოო პრაქტიკა არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, ესმოდეს ან/და რისი დემონსტრირება უნდა შეეძლოს სწავლის დასრულების შემდეგ. კომპეტენციები, რომლის მიღწევაცაა დაგეგმილი სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის ფარგლებში ზოგადად არის ცოდნის, გაცნობიერების, უნარებისა და შესაძლებლობების დინამიური კომბინაცია.

საწარმოო პრაქტიკის განხორციელების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სტუდენტის ინფორმირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის ადგილის გაცნობა მის მიერ, სამუშაო პროცესში ჩართვა და ყოველდღიური დაკვირვება; სტუდენტის ზედამხედველობა სტუდენტის კონსულტირება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. პრაქტიკის შუალედური შეფასება პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ; პრაქტიკის ანგარიშის მომზადება, პრაქტიკის საბოლოო შეფასება.

სასწავლო პრაქტიკასა და სამუშაო ჯგუფში (პრაქტიკულ/სემინარულ) გამოიყენება სწავლების მეთოდების სხვადასხვა სახეობა, პირველ რიგში ეს არის:

**პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს უყალიბებს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს. შეძენილი ცოდნის საფუძველზე სტუდენტი დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ აქტივობას, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სხვა არანაკლებ ეფექტური მეთოდები

**ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სწავლების პროცესში.

**პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მეცადინეობები;**

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, როლური თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

**დემონსტრირების მეთოდი** - ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მოითხოვს კურსის განმახორციელებლის და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**ლექციაზე** ხდება თეორიული მასალის გადაცემა; ლექცია შეიძლება ჩატარდეს განსხვავებული მეთოდებით, როგორცაა: ინტერაქტიული ლექცია; ლექცია პრეს-კონფერენცია; მოწვეული სტუმარი; ინფორმაციული ლექცია და ა.შ

**სემინარი:** ეს მეთოდი ეხმარება სტუდენტებს სისტემაში მოიყვანონ თავიანთი ცოდნა, გამოავლინონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები

**წერთი ხასიათის პროექტი (საბაკალავრო ნაშრომი):** სტუდენტს უვითარებს კვლევის საფუძვლების ტექნოლოგიების ცოდნას, ინფორმაციის მოძიების უნარს, დასკვნის გამოტანის უნარს, დროის დაგეგმვის უნარს, პრეზენტაციის უნარს

**პრეზენტაციის მეთოდი-შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ჯგუფური ასევე ინდივიდუალური პრეზენტაციები.**

**სხვადასხვა სასწავლო კურსისათვის სწავლების შესაბამისი მეთოდია გამოყენებული.**

**სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა**

**შეფასების ზოგადი წესები:**

- ✓ სტუდენტის ცოდნა ფასდება 100 ქულიანი სისტემით;
- ✓ მინიმალურ დადებით შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა;
- ✓ შეფასება ხორციელდება მინიმუმ 4 კომპონენტის საფუძველზე (სასწავლო კურსების შემთხვევაში). შეფასების კრიტერიუმები მოცემულია სილაბუსების მიხედვით
- ✓ აქტივობა- 20 (მაქსიმალური ქულა)
- ✓ შუალედური გამოცდა (პირველი)- 20 (მაქსიმალური ქულა)
- ✓ შუალედური გამოცდა (მეორე)- 20 (მაქსიმალური ქულა)
- ✓ დასკვნითი გამოცდა- (საბოლოო გამოცდა) - 40 (მაქსიმალური ქულა)

(შენიშვნა: სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით გამოყენებულია სხვადასხვა შეფასების კრიტერიუმები და მეთოდები)

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

**შეფასების ზოგადი მეთოდები**

**აქტივობა 20 ქულა**

მონაცემების ანალიზი - მიზნად ისახავს გამოუმუშავოს სტუდენტს მონაცემებთან მუშაობის უნარ-ჩვევები და შესაბამისად საგანთან ბმაში მისი გამოყენების პრაქტიკული მიზნობრიობა

ქვიზი-წერთი ხასიათის ნაშრომი

სტუდენტს ასევე შესაძლებელია კურსის განმახორციელების მიერ მიეცეს ტესტური და ზეპირი დავალებები, ჯგუფური/ინდივიდუალური პრეზენტაციების შესრულება და ესე ა.შ

I და/ან II შუალედური გამოცდა: წერიტი/ტესტური (მიზნად ისახავს განვლილი თეორიული მასალის დაუფლების შემოწმებას, გამოიყენება ცოდნისა და უნარების შესაფასებლად)

I და/ან II შუალედური გამოცდა: ზეპირი (მიზნად ისახავს თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავების შემოწმებას ზეპირი პრეზენტაციის გზით) დასკვნითი გამოცდა- მიზნად ისახავს სისტემური/სრული ცოდნის და/ან პრაქტიკული უნარების შემოწმებას, რომელიც სტუდენტმა მიიღო განვლილი მასალის შესწავლისას შესაძლებელია ჩატარდეს როგორც ზეპირი ასევე წერიტი სახით ან კონბინირებულად (ქულები გადანაწილებული იქნება შეფასების არჩევის მიხედვით საკითხებზე)

### წერიტი გამოცდა

1.19-20 ქულა: პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

2.17-18 ქულა: პასუხი სრულია, მაგრამ შეკვეცილი. ტერმინოლოგიურად გამართულია: საკითხის გადმოცემისას არსებითი შეცდომა არ არის: სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა.

3.15-16 ქულა: პასუხი სრულია, ტერმინოლოგია ნაკლებად გამართულია; საკითხის გადმოცემისას აღინიშნება მცირეოდენი შენიშვნები; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, თუმცა სრულყოფილად არა აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა.

4.13-14 ქულა: საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ აღინიშნება მცირეოდენი შეცდომები.

5.11-12 ქულა: პასუხი არ არის სრულყოფილი; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; აღინიშნება რამდენიმე შეცდომა, მაგრამ პასუხი შესაძლებელია ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

6.8-10 ქულა: პასუხი არასრულია. გადმოცემულია საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები. სპეციალური ტერმინოლოგია მცდარია. სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა. აღინიშნება არსებითი შეცდომები.

7.5-7 ქულა: პასუხი არსებითად მცდარია. ტერმინოლოგია არ არის გამოყენებული, ან არ არის შესაბამისი.

8.2-4 ქულა: პასუხი ნაკლოვანია, ძალიან მცირე დოზით, შეცდომებით არის გადმოცემული.

9.0-1 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული.

### **ზეპირი გამოცდა**

1.19-20 ქულა: ზედმიწევნით ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხს, აქვს დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების უნარი, შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა ამომწურავად პროფესიულ ენაზე, პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს.

2.16-18 ქულა: ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ საკითხს, აქვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა პასუხობს ლექტორის მიერ დასმულ პროგრამასთან დაკავშირებულ დამატებით შეკითხვებს.

3.13-15 ქულა: ერკვევა პროგრამით გათვალისწინებულ საკითხში, აქვს საგანში დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა.

4.11-12 ქულა: ერკვევა პროგრამით გათვალისწინებული საკითხის მნიშვნელოვან ნაწილში; შეუძლია საპროგრამო მასალის გადმოცემა, ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი.

5.7-10 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხების გადმოცემა შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ, ძირითადი ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწილი არა აქვს დამუშავებული.

6.4-6 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხის ნახევარზე ნაკლების გადმოცემა შეუძლია დამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურა დამუშავებული თითქმის არა აქვს.

7.2-3 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხი არის განხილული არადამაკმაყოფილებლად, ძირითადი ლიტერატურის დამუშავების გარეშე.

8.0-1 ქულა: პროგრამით გათვალისწინებული საკითხი არ არის განხილული.

### **ტესტური გამოცდა**

თითოეული კითხვა ფასდება საკითხის სირთულისა და სპეციფიკიდან გამომდინარე შესაბამისი ქულით (ლექტორის შეხედულების მიხედვით), საერთო ჯამური ქულა გამოითვლება სწორი პასუხების ჯამით.

---

### **შუალედური და დასკვნითი გამოცდის შესახებ ინფორმაცია**

**პირველი შუალედური გამოცდა ტარდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან მე-7 კვირაში. დამატებითი გამოცდა ტარდება შუალედური გამოცდის ჩატარებიდან**

არანაკლებ 10 დღის ვადაში.

მეორე შუალედური გამოცდა ტარდება სასწავლო პროცესის დაწყებიდან მე-14 კვირაში. დამატებითი გამოცდა ტარდება შუალედური გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღის ვადაში.

საბოლოო გამოცდა ტარდება სასესიო პერიოდში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში (მე-18- მე-19 კვირა) სტუდენტს ცოდნის შესაფასებლად ეძლევა თეორიული და პრაქტიკული საკითხებისგან შემდგარი წერიტი დავალება, დამატებითი გამოცდა ტარდება საბოლოო/დასკვნითი გამოცდის ჩატარებიდან არანაკლებ 10 დღისა (დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა) (20-ე; 21-ე კვირა) – (რეგულირდება რექტორის ბრძანებით)

შენიშვნა:

თითოეულ სასწავლო კურსში საბოლოო გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტის შეფასება არის განსაზღვრული ქულების ნახევარს პლუს ერთი.

კურსის განმახორციელებელი არ იზღუდება ჰქონდეს ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებული შეფასების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები დადგენილი კანონმდებლობის ფარგლებში (შეფასების მრავალკომპონენტური სისტემა).

### შეფასების სისტემა

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: შუალედური შეფასება პრაქტიკის მსვლელობისას ხორციელდება უშუალოდ პრაქტიკის პროცესის დროს და გათვალისწინებულია საკონტაქტო დროში

**დასაქმების სფეროები:**

სწავლების პროცესში მიღებული სავალდებულო თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის გამომუშავებულ უნარ-ჩვევათა გათვალისწინებით, კურსდამთავრებული შესაძლებელია დასაქმდეს: სახელმწიფო, არასამთავრობო და საერთაშორისო სტრუქტურებში; არასაგანმანათლებლო, კულტურის და საგამომცემლო დაწესებულებებში, არქივებში, მუზეუმებში, ბიბლიოთეკებში, მასმედიის საშუალებებში. მას შეეძლება მთარგმნელობით ბიუროში მთარგმნელობითი საქმიანობის შესრულება, პრესაში, ტელევიზიაში ქართულ ენაზე წერითი კორესპონდენციის (წერილების, ანგარიშის, სტატიის და ა.შ) წარმოება, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციაში საზოგადოებასთან მუშაობის წარმართვა.

**პროგრამის ხელმძღვანელი:** ასოცირებული პროფესორი ნინო წერეთელი



სასწავლო გეგმა სემესტრების მიხედვით  
პირველი სემესტრი

სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათები						სტატუსი	დაშვების წინაპირობა
		ლექცია	სემინარ/რაქტიკ. მეც.	შუალედ. გამოცდა	დამოუკ. მეცადინ.	დასვენითი გამოცდა	ჯამი		
ინგლისური ენა 1	5	15	30	4	72	4	125	საფაკულტეტო	არ აქვს
შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	15	30	4	72	4	125	დარგობრივი	არ აქვს
ენათმეცნიერების შესავალი	5	15	30	4	72	4	125	დარგობრივი	არ აქვს
ლიტერატურათმცოდნეობის შესავალი	5	15	30	4	72	4	125	დარგობრივი	არ აქვს
ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია	5	25	20	4	72	4	125	დარგობრივი	არ აქვს
საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლები	5	13	32	4	72	4	125	საფაკულტეტო	არ აქვს
არჩევითი სასწავლო კურსები									
ძველი ქართული მწერლობის კერები	5	15	30	4	72	4	125	დარგობრივი არჩევითი	არ აქვს
ქართული ფოლკლორი	5	16	29	4	72	4	125	დარგობრივი არჩევითი	არ აქვს

სულ 35 კრედიტი

მეორე სემესტრი

სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტი	საათები						სტატუსი	დაშვების წინაპირობა
		ლექცია	სემინარი/პრაქტიკ. მეც.	შუალედ. გამოცდა	დამოუკ. მეცადინ.	დასკ. გამოცდა	ჯამი		
ინგლისური ენა 2	5	15	30	4	72	4	125	საფაკულტეტო	ინგლისური ენა 1
ქართული ენა 1(მორფოლოგია1 )	5	15	30	4	72	4	125	დარგობრივი	არა აქვს
